




# ქართული ფოლკლორი

„ერის ბონი, ანბანის თითოეული ასო, ქართულ  
ნაქვეშა მონათველი. ჰმეყანა თავის ისტორიას ნაქვეშა გვიყვება“.

№4 დეკემბერი 2024 წელი პერიოდული გამოცემა

2001 წელს იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო  
ხალხების მუსიკალური მემკვიდრეობის მემკვიდრედ აღიარა.



## ვახუტ „ქართული ფოლკლორის“ სარედაქციო კოლეგია და ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი გულითადად გილოცავენ ახალი 2025 წლის შემობრძანებას! მშვიდობიანი და ფეხბჯინიერი ყოფილიყოს ეს წელი თითოეული თქვენგანის, თქვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოსთვის!



ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაცია ქალბატონ ტინათინ რუსაძეს ულოცავს საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრად დანიშვნას და წარმატებულ მოღვაწეობას უსურვებს. ვიმედოვნებთ, რომ ქალბატონი ტინა-

თინის ყურადღების ცენტრში იქნება ეროვნული ფოლკლორის, ქართული საცეკვაო ხელოვნების განვითარება და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებზე ზრუნვა.

ტინათინ რუსაძე 1989 წლიდან იყო საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების დირექტორის მოადგილე, კამერულ ორკესტრ „თბილისის კონცერტინოს“ დირექტორი, მოგვიანებით - ტელეფესტივალ „მანას“ აღმასრულებელი დირექტორი. იყო „თბილისი TV“-ის გენერალური პროდიუსერი, საქტელერადიო მაუწყებლობის პროდიუსერთა საბჭოს აპარატის უფროსი და პროდიუსერი, შპს „მელოდი არტის“ დირექტორის მოადგილე და გენერალური პროდიუსერი, ვასო აბაშიძის სახლობის მუსიკისა და დრამის თეატრის გენერალური დირექტორი, ასევე თბილისის საკრებულოს მრჩეველი განათლებისა და კულტურის საკითხებში.

ტინათინ რუსაძე მინისტრად დანიშვნამდე ეროვნული სასახლის დირექტორის თანამდებობას იკავებდა.

## ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი – 15

ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „მომავალი ჩვენი!“ - 20

2024 წლის 3 ნოემბერს, „თბილისი არტ-ჰოლის“ საკონცერტო დარბაზში, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით გრანდიოზულად აღინიშნა ეროვნული ცენტრის დაარსებიდან 15 და ფოლკლორის საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალის „მომავალი ჩვენი!“ საიუბილეო მე-20 წელი. ღონისძიება ორ განყოფილებად ჩატარდა. საიუბილეო საღამოს საკონ-



ცერტო ნაწილი დაამშვენეს საქართველოს მასშტაბით მოქმედმა საბავშვო და ახალგაზრდულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას სცენაზე აჩვენეს თავიანთი მაღალი სამემსრულებლო ხელოვნება. ღონისძიების დასასრულს გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. მონაწილე ანსამბლებსა და პუბლიკას სცენიდან მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა მჭავანაცემ, ცენტრის საპატიო თავმჯდომარეებმა, სახალხო პოეტმა ერეკლე საღლიანმა და პროფესორმა რეზო ჭანიშვილმა. საიუბილეო საღამოში მონაწილე ყველა ქორეოგრაფიულ ანსამბლს გადაეცა სპეციალური პრიზები, დიპლომები და მედლები.

საიუბილეო საღამოს მეორე ნაწილი მიეძღვნა გამორჩეული ქართველი ხელოვნების, ღვანლმოსილი, დამსახურებული ქორეოგრაფების „ქართული ქორეოგრაფიის კოლორიტის“ საპატიო ნოდებით დაჯილდოების ცერემონიალს, რომლის ჩატარების იდეა გაჩნდა ქართუ-

ლი ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და ვახუტ „ქართული ფოლკლორის“ გამოკითხვისა და კვლევის საფუძველზე. „თბილისი არტ-ჰოლის“ ფოიე და წითელი ხალიჩა დაამშვენეს ცერემონიალის საზეიმო გახსნაზე მოწვეულმა საპატიო სტუმრებმა და ნომინანტებმა. ღონისძიება გაიხსნა კულტურის ინსტიტუტის ანსამბლ „არტ-საქართველოს“ მიერ შესრულებული ცეკვა „ქართულით“ (პედაგოგები – სერგი გიორგობიანი და ტატიანა ნიქაძე).

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სახალხო პოეტი ერეკლე საღლიანი.

საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის პრეზიდენტმა ალექსანდრე ქართველიშვილმა ქართული საცეკვაო ხელოვნების სრულყოფა-განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ხელოვნების ბრწყინვალეების ორდენით დააჯილდოვა ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა მჭავანაცე.

„ქართული ქორეოგრაფიის კოლორიტის“ საპატიო ნოდებით დაჯილდოვდნენ: – თენგიზ უთმელიძე – „სუხიშვილების“



ვახუტინას პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეობას, რაც ქართული კულტურის განვითარებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.

საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტს გიორგი ვახუტინა უხვლემდღვანელებს!

გიორგის სახელს უკავშირდება ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში 2015 წლიდან განხორციელებული უმნიშვნელოვანესი პროექტები. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ სალოტბარო სკოლები.

წლების მანძილზე გიორგი ვახუტინა, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელ დირექტორთან გიორგი დონაძესთან ერთად უშუალოდ იყო ქართული საქართველოს რეგიონებში სალოტბარო სკოლების გახსნაში.

შედეგად, დღეს უკვე 40 მუნიციპალიტეტში, რამდენიმე ასეული ბავშვი სრულიად უსასყიდლოდ ეუფლება ქართულ მრავალხმიანობას.

ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის სახელით, ვულოცავთ გიორგი

# შემსრულებლობა პირველად სასიმღერო ფოლკლორში

2007 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა“ ქართული ფოლკლორის მკვლევარებს, ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს მიანოდა ფოლკლორისტიკის ცნობილი ქართველი მკვლევარის ედიშერ გარაყანიძის (1957-1998) ნაშრომების პირველი კრებული „ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა“. კრებულის რედაქტორი, ასევე ცნობილი მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი იოსებ ჟორდანიას (ავსტრალია) შესავალში წერს: მეტად საინტერესო და არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებების მქონე პიროვნების გარდა, ედიშერ გარაყანიძე საოცრად დაკვირვებულ და ღრმა მეცნიერი გახლდათ. მისი ნაშრომებისთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი, ერთი მხრივ, დეტალებისადმი უდიდესი ყურადღება და მათი ღრმა განსჯის უნარი, მეორე მხრივ კი – კვლევითი აზრის მასშტაბურობა და შემოქმედებითი ფანტაზია. ედიშერ გარაყანიძის კვლევის შედეგებმა ბევრი ახალი საკითხი დასვა ქართულ ფოლკლორისტიკაში, გადაწყვიტა ბევრი არსებული პრობლემა. ამ მხრივ, ალბათ, ყველაზე ნათელი ნიმუშია მისი ნაშრომი დიალექტოლოგიაში. ედიშერმა დასვა, მაგალითად, საკითხი, რომლის თანახმადაც, ღრმა კავშირი არსებობს ისეთ, თითქოსდა დაუკავშირებელ სიმღერებს შორის, როგორებიცაა „ჩაკრულო“ და „ლილე“. ედიშერის კვლევები უამრავ სხვა ამგვარ ღრმა და საინტერესო საკითხს აყენებს. წინამდებარე ნაშრომს ხომ ვერცერთი ფოლკლორისტიკური ვერ აუვლის გვერდს. ვიმედოვნებ, რომ ეს წიგნი პირველი ნაბიჯია იმ დიდ საქმეში, რასაც ედიშერ გარაყანიძის ნაშრომთა სრული კორპუსის გამოცემა ჰქვია. ეს საქმე, უდავოდ, კიდევ უფრო აამაღლებს ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის დონესა და პრესტიჟს.

ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ სტატიას აღნიშნული კრებულიდან.



ხარვეზებით, გაუკუღმართებულად). მეორეულ შემსრულებლობაშიც ამ სასიმღერო დიალექტებიდან მხოლოდ რაჭულს თუ უკავია მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო ადგილი.

ჯერ კიდევ ცოცხლობს და ჟღერს ბუნებრივ კონტექსტში აუთენტური ფოლკლორი აჭარასა და შავშელებით დასახლებულ თურქეთის ტერიტორიებზე (მარმარილოს ზღვასთან, ბურსას ვილაიეთში), მაგრამ იქაც შესრულების ტრადიციების რღვევისა და სიმღერების მივიწყების პროცესი უკვე დაწყებულია (Gold 1972). საქართველოს კუთხეთა შორის მენინავედ უთუოდ სვანეთი უნდა ჩაითვალოს, სადაც ჯერ კიდევ სრულდება სამგლოვიარო სიმღერა და დატირება გლოვისას და სუფრული – სუფრასთან. მაგრამ ტრადიციული რეპერტუარის მნიშვნელოვანი ნაწილი რომ აქაც დაკარგულია, კარგად ჩანს ჯერ კიდევ 50-იანი წლების სამეცნიერო ნაშრომებში (ახობაძე, 1957).

საბოლოო ჯამში, ჩვენი ქვეყნის კუთხეებზე ზერელე დაკვირვებაც ცხადყოფს, რომ სოფლურ ყოფაში ხალხური სიმღერა თანდათანობით დავიწყებას ეძლევა. ამ მხრივ, საქართველო არ არის გამონაკლისი. იგივე პროცესები შეინიშნება უკრაინასა თუ რუსეთში, ბასკეთსა თუ იტალიაში. მაგრამ ფაქტია, რომ უმრავლეს შემთხვევაში, როცა წმინდა ხალხური (ყოფაში არსებული) სიმღერის შემსრულებლობას ვეხებით, საუბარი გვინევს არა იმაზე, თუ სად, როდის და როგორ სრულდება იგი, არამედ იმაზე – თუ სად, როდის და როგორ სრულდებოდა.

## სად და როდის სრულდებოდა ხალხური სიმღერები

ხალხური სიმღერა სოფლური ყოფის განუყოფელი თანამგზავია. ასე იყო ყველგან და ასე იყო ჩვენს ქვეყანაშიც. „ქართველი სიმღერით იბადება და სიმღერითვე აბარებენ მას მინას“, – ამბობდა ა. არაყიშვილი (Арақчиев 1916: 3). ხოლო გერმანელი მუსიკისმცოდნე ზ. ნადელი ქართულ ხალხურ მუსიკაზე ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ აღნიშნავდა, რომ „ყოველივე მათ (ქართველთა – ე.გ.) ცხოვრებაში მუსიკითაა ხლებული“ (Nadel 1933: 7). მართლაც,



ყოველივეს: შრომას, ლხინს, რელიგიურ რიტუალს, ავადმყოფობას, გლოვას, – თავისი შესატყვისი სიმღერა ახლდა.

ადამიანის ცხოვრების საკვანძო მომენტები უთუოდ „მუსიკალურად იყო გაფორმებული“. ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე (უფრო ხშირად – სამი) დღის შემდეგ ჟღერდა ქალთა საქობო საფერხულო სიმღერა „მზე შინა“; ჩვილის გაზრდის საწყისი ეტაპის უცილობელი თანმხლები იყო დასაძინებელი (ზოგ შემთხვევაში, გამოსაღვიძებელიც, ჟორდანიას ი. 1988: 57) „ნანა“, ინფექციური ავადმყოფობით შეპყრობილ ბავშვს უთუოდ უმღეროდნენ სიმღერა „იავნანას“ (ან მის ვარიანტებს – „ბატონების ნანინას“, „ია პატონეფის“, „საბოდმოს“ და სხვა); ქორნილის რიტუალს ახლდა სხვადასხვა სახის მაცურული; გარდაცვალებას – „სამგლოვიარო სიმ-



ღერა „ზარი“ (მთის რაჭაში – „ზრუნი“) და დატირებები, მიცვალების წლისთავზე კი – „დალა“ (თუშეთში) ან მაცურულის მუსიკალურ მასალაზე აგებული შესაბამისი სიმღერა („ჭურის ახდის“, „ფეხის ახსნის“)...

წლის სხვადასხვა დროს წარმართულ (ან ქრისტიანობის მიერ შეთვისებულ) რელიგიურ რიტუალებზე ჟღერდა მრავალრიცხოვანი სანესო სიმღერა, რომელიც სრულდებოდა როგორც სტატიკურ მდგომარეობაში დგომისას („ლილე“, „კვირია“, „ლომისური“), ასევე ფერხულად (ქალთა „დიდება“, „ფერხისა“, „მუმლი მუხასა“) და ჩამოვლისას („ჭონა“, „ალილო“...).

ხშირად, სიმღერა მაგიური ქმედების ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო. მაგალითად, საქართველოს მრავალ კუთხეში ბოლო დრომდე შემორჩა „გასაავდრებელი“ ან „გადამდარებელი“ სიმღერა „ლაზარე“ (ვარიანტები – „გონჯა“, „ელია“ და სხვა), გურიაში – უნაყოფო ხის გამანაყოფიერებელი საჩონგურო ლიღინები (შილაკაძე ვ., 1949: 32-33) და სხვა.

განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა შრომის სხვადასხვა პროცესის თანმხლები სიმღერები. ეს ეხება როგორც შრომის ინდივიდუალურ სახეობებთან დაკავშირებულ ე.წ. „შრომის სანესო სიმღერებს“ („ურმული“, „მთიბლური“, „ზუზუნი“, „ლულუნი“), ასევე, განსაკუთრებით კოლექტიურ შრომის სიმღერებს („ნადური“, „ოდოია“, „ოყონური“, „მუშური“, „ნამგლური“, „ეპოია“, „თოხური“). თუმცა,

ზოგიერთი ცნობით, არსებობდა მრავალი ისეთი შრომის სიმღერაც, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. მაგალითად, ქვეყნის რეცხვისა (ჯამბაკურ-ორბელიანი 1861: 157), ყურძნის წურვისა (სვანიძე 1957: 18) და სხვა.

ასევე მრავალფეროვანი იყო სიმღერები, რომლებიც ოჯახში, „ლხინებზე“ (სოფლელი ახალგაზრდობის თავყრილობებზე), სუფრასთან და სხვა ადგილას იმღერებოდა. ეს იყო სხვადასხვა სახის სახუმარო, სატრფიალო, ეპიკური, საგმირო სიმღერები, რომლებიც სრულდებოდა როგორც „ჩვეულებრივი“, ასევე საცეკვაო და საფერხულო სიმღერების სახით, აგრეთვე – ამა თუ იმ საკრავის თანხლებით.

ყოველ სიმღერას თუ სიმღერათა ჯგუფს თავისი მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი და დანიშნულება ჰქონდა. სანესო-

საკულტო სიმღერებზე რომ არაფერი ვთქვათ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სიმღერას კოლექტიური შრომის პროცესში. მრავალი ინფორმატორის მოწმობით, სიმღერით თანხლებული შრომა გაცილებით უფრო ნაყოფიერი იყო. ამიტომ ყველა, ვინც კი საკუთარი ნაკვეთის დასამუშავებლად დამხმარეებს (ნადს, მამითადს) ინვევდა, პირველ რიგში იმაზე ზრუნავდა, რომ მათ შორის კარგი მომღერლებიც ყოფილიყვნენ, რათა შრომის სიმღერა კარგად წარმართულიყო და, შესაბამისად, შრომის მსვლელობაც ხალისიანი და ნაყოფიერი გამოსულიყო. ნოსტელი პეტრე ხიზამბარელის ცნობით, პაპამისი ნინიკა მკის სიმღერის განთქმული შემადგენელი ყოფილა. მას ცოლი იმ დროს გარდაცვლია, როცა ბატონის ყანაში მკა ინყებოდა. ბატონს მოციქულები მიუგზავნიან: „ოლონდ ხვალ მომკვლავს თავში ჩაუდექ შენი სიმღერით და პატივისცემა ჩემზე იყოს – შენი ცოლის დასაფლავების ხარჯებსაც მე ვკისრულობ და სხვა რამ ძღვენიაც დაგასაჩუქრებო“. პეტრეს პაპას ბევრი უუარია, მაგრამ ბატონის მუდარას მაინც თავისი გაუტანია (მთხრობელი პეტრე ხიზამბარელი). არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მუშაობისას მომღერლებს სხვა კუთხეებშიც (წულაძე 1971: 20-21).

შესრულების ადგილისა და დროის აღრევა ქართულ მუსიკალურ სინამდვილეში, როგორც წესი, არ ხდებოდა. შედარებით ნებისმიერი იყო დამოკიდებულება იმ სიმ-





ლერების შესრულების დროსა და ადგილისადმი, რომლებიც არ უკავშირდებოდა რაიმე მკაცრად განსაზღვრულ წესს. ასეთ სიმღერებს რუსულენოვან მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში „მიუსადაგებელს“ („неприуроченные“) უწოდებენ (Русские народные песни). რუსულენოვანი მეცნიერები ამ ცნებაში გულისხმობენ სიმღერებს, რომლებიც ნებისმიერ ვითარებაში შეიძლება შესრულდეს. ჩვენს მეცნიერებაში ეს ტერმინი არ გამოიყენება, თუმცა კი ნამდვილად საჭიროა. ასეთ სიმღერებს არ გააჩნდათ მკაცრად განსაზღვრული დრო და ადგილი: საცეკვაო, ლირიკული (სახუმარო, სატრფიალო) სიმღერები შეიძლება და შესრულდეს როგორც ამა თუ იმ დღესასწაულზე, ისე – სოფლის „ღვინებზე“, თანასოფელთა უბრალო თავყრილობის დროს, აგრეთვე – ოჯახში ოჯახის წევრთა მიერ. ასევე სუფრული სიმღერებიც იმდროინდელი ნებისმიერ სუფრასთან, იქნებოდა ეს რელიგიურ დღესასწაულზე, ქორწილსა თუ ოჯახში უბრალო სტუმრიანობისას. ერთი სატყვიო, „მიუსადაგებელი“ სიმღერები ხალხის ყოველდღიურ ყოფას უკავშირდებოდა.

გორი 1979). 1980 წელს სოფელ ერთან-მინდაში ჩვენს თხოვნაზე, შეესრულებინა „ლაზარე“, თამარ ჩახიძემ მოგიგო: „ლაზარესა წვიმა მოჰყამს. აბა, გვინდა ჩვენ წვიმაი?!“ (ექსპ., კასპი 1980). ვინც კი ფოლკლორულ ექსპედიციებში ყოფილა, უთუოდ დამეთანხმება, რა ძნელია ინფორმაციების დაყოფა, შეასრულონ „ნანა“ ბავშვის გარეშე ან, მით უმეტეს, დატირება – მიცვალებულის გარეშე. სიმღერები, რომლებიც განუყოფლად თან სდევს ამა თუ იმ წეს-ჩვეულებას, შრომისა და ცხოვრების სხვადასხვა მომენტს, ნაშრომში „თანდებულ სიმღერებზე“ იწოდება. ხოლო სიმღერები, რომლებსაც შესრულების მკაცრი დრო და ადგილი არ გააჩნიათ და ყოფის ნებისმიერ უბანზე შეიძლება შესრულდეს, განხილულია როგორც „წმინდა სიმღერები“. აღნიშნული ტერმინები სამუშაოა; მოსალოდნელია, რომ ამავე ცნებების გამოსახატავად სხვა, უფრო მარჯვე ტერმინებიც იქნება შემოთავაზებული სხვა მკვლევართა მიერ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება აღინიშნოს, რომ აუთენტური ფოლკლორული ტრადიციის მქონეთათვის

ვათ. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ეს წესი მიცვალებულის კულტს უკავშირდება: ხალხის რწმენით, დატირებით მიცვალებულთა სულების გულის მოგება ამ სულების მიერ შრომაში ხელშეწყობასა და წარმატებას განაპირობებდა (ასლანიშვილი 1956: 32-33; ოჩიაური 1977: 118-119). ასე რომ, ამ შემთხვევაში არავითარ აღრევას არ აქვს ადგილი; დატირება სწორედ რომ „დანიშნულებისამებრ“ სრულდება. დღეს ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ ასრულებენ მიცვალებულის წლისთავზე, ე.ი. „ჭერის ახდაზე“ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მაინცდამაინც „მაყრულს“, წმინდა საქონილო სიმღერას. მაგრამ უეჭველია, რომ ეს წესი ხალხის გარკვეულ რწმენას უკავშირდება, თუმცა ამ ტრადიციის გენეზისის ზუსტად ახსნა ამჟამად ჭირს.

ა. ერქომაიშვილის ერთ-ერთ ნიგნში მითითებულია, რომ გურიაში „ადრე ნადურებს მხოლოდ ყანაში მღეროდნენ,



ხოლო უფრო მოგვიანებით თავშეყრის ადგილებშიც დაიწყეს მისი შესრულება, მაგალითად, ნირვის შემდეგ შეიძლება ეკლესიის ეზოშიც ემღერათ“ (1980: 36). თუმცა ვ. შილაკაძე აღნიშნავს, რომ „ნადური“ გურიაში იმდროინდელი ყანაშიც, გზად ყანიდან და კალანდა დღეს, ეკლესიის გაღვანშიც და ვარაუდობს, რომ ეს მოვლენა შეიძლება გარკვეულ რწმენას უკავშირდებოდეს (1949: 39).

საინტერესოა, რომ კახურ სამკალ სიმღერებს შორის გვხვდება „მუმლი მუხასა“ (მამალაძე 1962; როსებაშვილი 1981). ამავე დროს, ვახტანგ კოტეტიშვილის ცნობით, ეს სიმღერა სრულდებოდა ფერხულად წარმართობის ხანიდან მომდინარე რიტუალის დროს (1961: 401-409). რომ ეს მართლაც საფერხულო სიმღერაა, მუსიკალური ანალიზის საფუძველზე გამოჩვენდა. უპირველეს ყოვლისა, ის, რომ სიმღერის ფორმაქმნადი მეტრულ-რიტმული კანონზომიერებები საერთოა მრავალი საფერხულო-საცეკვაო და შრომის სიმღერისათვის. ამ სიმღერების ჰარმონიული ენაც ხშირად სრულიად იდენტურია (მაგ. 1,2). სხვათა

ერთი ფოლკლორული ნიმუშის ორ მცირედ განსხვავებულ ვარიანტად შეიძლება წარმოვიდგინოთ, მით უფრო – ერთი მუსიკალური დიალექტის ფარგლებში (მაგ. 3, 4). ამ მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ სრულიად ანალოგიური მკის სიმღერა სრულდება განსხვავებულ ტექსტებზეც. ამრიგად, საფერხულო და შრომის ორი სიმღერა, მიუხედავად მათი უდიდესი მსგავსებისა, მთელი რიგი ფაქტორების (მათ შორის – შესრულების ხასიათის, ტემპის, შემსრულებელთა ფიზიკური მდგომარეობის, პოზიხისა და სხვა) გათვალისწინებით, მაინც ორ განსხვავებულ სიმღერად წარმოვიდგინოთ, რომელთაც შესრულების მათთვის დამახასიათებელი ადგილი და დრო აქვთ.

სამაგიეროდ, შესრულების დროსა და ადგილის აღრევის უცვლელ ფაქტთან გვაქვს საქმე, როდესაც, მაგალითად, სუფრასთან სრულდება „გუთნური“ ან „იავნანა“, რაც სრულიად აშკარად გვიანდელი მოვლენაა და აუთენტურ ფოლკლორს არ ახასიათებს.

საბოლოო ჯამში, შეიძლება კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ ყოველ ხალხურ სიმღერას შესრულების მტკიცედ ჩამოყალიბებული დრო და ადგილი ჰქონდა. თანდებული სიმღერებისათვის ეს იყო შესაბამისი ცხოვრებისეული მოვლენა თუ რიტუალი, წმინდა სიმღერებისათვის კი – ყოველდღიური ყოფა.



სიმღერების დანარჩენი ნაწილი ერთიანდება „მისადაგებელი“ („приуроченные“) სიმღერების ჯგუფში. ასეთი სიმღერები, ჩვეულებრივ, მხოლოდ დანიშნულებისამებრ იმდროინდელი (ანუ, როგორც რუსი ფოლკლორისტიკები განსაზღვრავენ, ესაა სიმღერები, რომლებიც გარკვეულ, დადგენილ ვითარებაში სრულდება), მაგალითად: „ქრისტე აღდგას“ არ იმდროინდენ ზაფხულში, მისი ადგილი საადგომო რიტუალში იყო; „ალილო“, როგორც წესი, შობისწინა ღამეს ჟღერდა; „ბატონების ნანინა“ მხოლოდ ავადმყოფთან სრულდებოდა; „ზარს“ მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ აღარ იმდროინდენ... მრავალი ასეთი „მისადაგებელი“ სიმღერა თავისი მხატვრული დონით არ ჩამოუვარდებოდა „მიუსადაგებლებს“, მათ შორის, თვით უმაღლესი რანგისად აღიარებულ სუფრულეებსაც კი, მაგრამ მათ „არადანიშნულებისამებრ“, როგორც წესი, მაინც არ ასრულებდნენ. ამის დასადასტურებლად მრავალი შემთხვევის გახსენება შეიძლება. მაგალითად, 1979 წლის ექსპედიციაში, სოფელ ზემო ხვითში, როცა 77 წლის ილუშა ესიაშვილს ვთხოვეთ, ჩვენთვის „ჭონა“ ემღერა, მან შეიცხადა: „ადგომია გავიდა და ეხლა უნდა მამღეროთ ჭონაი?!“ (ექსპ.,

უჩვეულოა (და ხშირად – დაუშვებელიც) სიმღერის შესრულების დროსა და ადგილის შეცვლა. ამ ტრადიციის მკაცრი დაცვა ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების ეპოქიდან მოდის, ამ წყობილებისათვის დამახასიათებელია ხალხის რწმენა, რომ დაკანონებული, მამა-პაპისაგან მომდინარე ტრადიციების ზედმიწევნით აღსრულება მომავალი კეთილდღეობისა და ბედნიერების საწინდარია; მეტიც, ტრადიციების ზუსტი დაცვა თავადაა ბედნიერება (Баибурин 1985: 16).

თანდებული სიმღერების შესრულების დროსა და ადგილის ვარიანტი შეიძლება ორი მიზეზით იყოს განპირობებული: ან გარკვეული წესის არსებობით (რომელიც ჩვენთვის ზოგჯერ უკვე გაუგებარია), ანდა ცხოვრების სარბიელზე შემსრულებლად იმ თაობის მოსვლით, რომლის რწმენა, მსოფლმხედველობა, ტრადიციებისადმი დამოკიდებულება დღევანდლობის პირობებში მნიშვნელოვნად გადასხვაფერებულია. ასე მაგალითად, ხეცსურთა ჩვეულება თიბვის წინ სათიბში მოტირალი ქალების მიყვანისა და მათ მიერ იქ დატირების შესრულებისა, ერთი შეხედვით, შესრულების დროსა და ადგილის ცვლილებად, აღრევად შეიძლება აღვიქ-



# ქალიან მინდა, ჩემი სახელოსნო ყვავდა მაისნოს, როგორც რეგიონში დასახლებული მენარჩუნების ქარბი მამადითი



ლოკაციაზე აქვე ეთნოტურისტული მაღაზია „ეთნო-ონი“ და საკუთარი სატრანსპორტო საშუალება, მართავენ ეთნოტურისტებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და შესანიშნავი მიღწევებიც აქვთ: გაიმარჯვეს 8 საგრანტო კონკურსსა და ორ ბიზნესდაფინანსებაში – „თბილისი 2022“ და „მელიორა 2022“. ნამუშევრებს რეალიზებას უკეთებენ როგორც საკუთარ მაღაზიაში, ასევე გამოფენა-ფესტივალებზე, სხვადასხვა ქალაქებში არსებულ სუვენირების მაღაზიებში. აქვე პარტნიორი მაღაზიები თბილისსა და ქუთაისში: „ეთნოლიზინი“, „ესკი“ და „ფანჯარა“. რაოდენ სასიხარულოა, რომ „ედენაში“ დამზადებულმა ნაწარმმა ამერიკის კონტინენტამდეც მიაღწია და პარტნიორ მაღაზია „ქართულიას“ მეშვეობით თავიანთ პროდუქციას აცნობენ იქაურ მოსახლეობას, აქტიურად იყენებენ ონლაინგაყიდვებსაც.



გაზეთ „ქართული ფოლკლორის“ მკითხველს გვინდა გავაცნოთ ტრადიციული რენვის სახელოსნო „ედენა“, რომლის დამფუძნებელიც გახლავთ პროფესიით მხატვარ-დიზაინერი, ნიჭიერი, მიზანდასახული და შრომისმოყვარე ქალბატონი ლილიანა მაისურაძე.

ქალბატონი ლილიანა საქართველოს ულამაზეს კუთხეში რაჭაში დაიბადა და გაიზარდა. სახელოსნოს დაარსების იდეა სტუდენტობისას გაუჩნდა, მაშინ, როცა,

ის მოყვარულ ქალბატონებს ჩემს ირგვლივ შემოვიკრებდი, – იხსენებს ქალბატონი ლილიანა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მშობლიურ რაჭას დაუბრუნდა და ონში, ერთ პატარა ნაქირავებ ოთახში დააარსა სოციალური საწარმო „ედენა“. მის დაარსებას მხარი დაუჭირა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-მენარჩუნების პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა ტრადიციული რენვის დარგის შენარჩუნებას და მომავალი თაობებისთვის გადაცემას. დაწყება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, ქალბატონი ლილიანა ასაკითაც საკმაოდ პატარა იყო, თანაც გამოუცდელი, თუმცა, დაულალავი შრომითა და თავდადებათ შეძლო ის, რომ დღეს, ტრადიციულ რენვის სახელოსნო „ედენას“ ყველა იცნობს.

სახელოსნო „ედენა“ საწყის ეტაპზე მხოლოდ ერთი მიმართულებით, თემაზე მუშაობით შემოიფარგლებოდა. საინტერესო პროექტებსა და პროგრამებში აქტიური მონაწილეობით კი შეძლეს თავიანთი პროდუქციის გამრავალფეროვნება. დღეისათვის, 5 მიმართულების 30-მდე სახეობის სუვენირსა და სასაჩუქრე ნივთებს ქმნიან, დაამატეს ტრადიციული და არატრადიციული ხელსაქმის დარგები, საწარმოში კი 12 ქალბატონი ემსახურება ამ შესანიშნავ საქმეს. უკვე დაოსტატებული, თავიანთ ცოდნას გადასცემენ შეგირდებს, სხვადასხვა სასწავლო პროექტებში ტრენინგებად მუშაობენ და მონაცვლადი ჯგუფებიდანაც ამზადებენ ქალბატონებს.

იმ მწირი შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც ბიზნესის განვითარების კუთხით რეგიონში არსებობს, „ედენა“ საკმაოდ წარმატებული სოციალური საწარმოა. აქვე საკუთარი სამუშაო სივრცე, იმავე

რომელიც ტრადიციული რენვის შენარჩუნების იდეით შეიქმნა. საბოლოოდ ჩვენი მისია ერთმანეთისა და კიდევ ათეულობით ახალგაზრდა ქალის კეთილდღეობაზე ზრუნვაში გადაიზარდა, რაც ძალიან გვახარებს და კიდევ უფრო გვაძლიერებს,“ – ამბობს ქალბატონი ლილიანა.

მანანა უშიკიშვილი



ყველაზე მეტად ენატრებოდა თავისი კუთხე. „სმირად წარმოვიდგენდი, სწავლის დასრულების შემდეგ, უკან დაბრუნებული როგორ ავიხდენდი ოცნებას და ხელოვნებ-



## ქართული ხალხური ქორეოგრაფიის კლასიკური მემკვიდრეობა

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის დიალექტების განვითარების ზოგიერთი საკითხი



(გაგრძელება იქნება)  
დასაწყისი იხილეთ გაზეთი №3

მ. ასლანიშვილი გამოყოფს სვანურ, გურულ, აჭარულ, მეგრულ, ქართლ-კახურ, მოხურ, მთიულურ, ფშავ-ხევსურულ, თუშურ, მესხურ-იმერულ-რაჭულ (ან რაჭულ-

ლენხუმურ) დიალექტებს.

იგი ამ დიალექტებს გარკვეულ ჯგუფებადაც ყოფს:

1. სვანური, გურული, აჭარული, მეგრული;
2. ქართლ-კახური, მოხურ, მთიულური;
3. ფშავ-ხევსურული, თუშური, მესხური.

რაც შეეხება რაჭულს (ან რაჭულ-ლენხუმურს), იგი განიხილება, როგორც გარდამავალი დიალექტი, რომელიც შეიცავს როგორც პირველი, ასევე მეორე ჯგუფის ნიშნებსაც. გ. ჩხიკვაძის აზრით, ქართული მუსიკალური დიალექტები შემდეგია: ხევსურული, თუშური, ფშავური, მოხურ, მთიულური, ქართლური, კახური, მესხური, იმერული, გურული, მეგრული, რაჭული,

სვანური, აჭარული, ლაზური. მოგვიანებით გ. ჩხიკვაძემ რაჭულს ლენხუმური დაუმატა.

გ. ჟორდანიას მიხედვით ქართულ ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორში შემდეგი დიალექტები გამოირჩევა: ხევსურული, ფშავური, თუშური, მოხურ, მთიულური, ქართლური, კახური, მესხური, რაჭული, სვანური, იმერული, გურული, აჭარული, მეგრული, ლაზური.

აღნიშნულ კლასიფიკაციას ო. ჩიჯავაძე ამატებს ლენხუმურ დიალექტს და, მიიჩნევს, რომ მუსიკალურ ფოლკლორში სამი ძირითადი ჯგუფი უნდა გამოიყოს, თითოეული მათგანის წარმოქმნა კი ქართული კულტურის ისტორიაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ეტაპებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, „სვანური“ დიალექტი უძველეს საერთო ქართულ მუსიკალურ კულტურას ემყარება: ხევსურული, თუშური, ფშავური,

მოხურ, მთიულური, ქართლური, კახური, მესხური და ჯავახური დიალექტები – თრიალეთურ მუსიკალურ კულტურას, ხოლო რაჭული, ლენხუმური, იმერული, მეგრული, გურული, აჭარული და ლაზური დიალექტები – კოლხურ მუსიკალურ კულტურას“.

ამრიგად, ჩამოთვლა რომ აღარ გავაგრძელოთ, ფაქტია, რომ საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე შეინიშნება დიალექტთა გასაოცარი სიმრავლე. თუ სხვადასხვა ავტორის თვალსაზრისს შევაჯერებთ, გამოვა, რომ მათი საერთო რაოდენობა თხუთმეტს მაინც აღწევს. საინტერესო ისაა, რომ ამ სიმრავლეში ბევრი საერთო ზოგადქართული ნიშანი იკვეთება, თუმცა განსხვავებულებაც თვალსაჩინოა. მაგრამ, უმთავრესი სხვაობა მაინც ისაა, რომ გამორჩეულია აღმოსავლური



ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის ზოსტა ნანა ვალიშვილი დიკაპავას

ეთნომუსიკოლოგი, მომღერალი, ლოტ-ბარი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური ხელოვნების მიმართულებების ხელმძღვანელი, ექსპერტი სამუსიკო ფოლკლორის დარგში; პოლონეთის ქალაქ ნოვი სონჩის ბავშვთა ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალის - „მთის ბავშვების დღესასწაულის“ - სამხატვრო საბჭოს წევრი (2019); ღირსების ორდენის კავალერი ნანა ვალიშვილი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში 38 წელია მოღვაწეობს. რეგულარულად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში, გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები და საგაზეთო სტატიები სხვადასხვა პროფესიულ პრობლემაზე. გამიჯრული და ნოტებზე გადატანილი აქვს მრავალი ხალხური სიმღერა. არის ზოგადგანმანათლებლო სკოლის მუსიკის სახელმძღვანელოს თანაავტორი (2006 წლიდან, I კლასი) და პასუხისმგებელი რედაქტორი (II-III კლასი), ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამოცემული მონოგრაფიების, ბროშურების, სანოტო კრებულებისა და კომპაქტდისკების ავტორ-შემდგენელი,

მუსიკალური რედაქტორი და შემოქმედებითი ჯგუფის წევრი. აქვს ტრენინგებისა და მასტერკლასების ჩატარების ოცდაათწლიანი გამოცდილება საქართველოს ბავშვთა და მოზრდილთა ფოლკლორულ ანსამბლებთან და ლოტბარებთან. სხვადასხვა დროს მუშაობდა სამუსიკო და ზოგადგანმანათლებლო სკოლებსა და სამუსიკო კოლეჯში ხალხური სიმღერის პედაგოგად. არის არაერთი ფოლკლორული ექსპედიციის ორგანიზატორი და მონაწილე, ბავშვთა და მოზრდილთა სხვადასხვა რანგის ოლიმპიადა-კონკურსისა და ფესტივალის ჟიურის წევრი და თავმჯდომარე; რეგულარულად უწევს შემოქმედებით კონსულტაციას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედ ფოლკლორულ და საოჯახო ანსამბლებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს, აქვს უცხოელებისთვის ქართული ხალხური სიმღერის სწავლების დიდი გამოცდილება (საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, ლატვია...). დაარსების დღიდან (1986) ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „მზეთამისი“ წევრია, რომელმაც, პირველად ქართულ სინამდვილეში, ქართველ ქალთა ტრადიციული რეპერტუარი აღადგინა და, ავთენტური საშემსრულებლო ტრადიციების დაცვით, სცენაზე გააცოცხლა. უკრავს და ასწავლის დაკრავს ფანდურზე, ჩონგურზე. მისი ხელმძღვანელობით მოხვეწა ახალგაზრდებისგან 2007 წელს შეიქმნა ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარული“, რომელმაც აღადგინა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეს ხეგს - (ყაზბეგის რაიონი) ყოფაში დაუბრუნა ტრადიციული მოხეური ხალხური სიმღერები. ხელმძღვანელობს ბოლნისის ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ბოლნელას“; არის ედიშერ და გიგი გარყანიძეების სახელობის ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდიის „ამერი-იმერის“ პედაგოგი (2002 წლიდან) და თბილისის წმინდათა თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის მგალობელ-რეგენტი.

### თინათინ ჩხაპია: „ვიღებთ თითოეულ იმ ადამიანის გვერდით, ვინც თავისი საქმით ხელს შეუწყობს ქართული კულტურის დასაცავსა და განვითარებას“




საქართველოს პარლამენტში მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების ფორმატში კულტურისა და სპორტის მინისტრმა თინათინ ჩხაპიამ ისაუბრა დარგის მიღწევებზე, ბოლო პერიოდში სპორტსა და კულტურაში განხორციელებულ პროექტებსა

და არსებულ გამოწვევებზე. თინათინ ჩხაპიამ გამოხატა მისი, როგორც მინისტრის, პოზიცია - „ჩვენი კარი ღია იქნება დარგში მოღვაწე ნებისმიერი ადამიანისთვის, ნებისმიერი მოქალაქისთვის; მოვუსმენ ყველას, თუმცა გადაწყვეტილებას მივიღებ მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა და დარგის ინტერესების გათვალისწინებით. ვიდგები თითოეული იმ ადამიანის გვერდით, ვინც თავისი საქმით ხელს შეუწყობს ქართული კულტურის დაცვასა და განვითარებას. ვფიქრობ, ქართული კულტურა და სპორ-

ტი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი ადამიანის პირადი დამოკიდებულებები, ჩვენი ქვეყნის კულტურული ტრადიციების დაცვა ბევრად უფრო დიდი პასუხისმგებლობაა.“

### გიგა ბათიაშვილის საიუბილეო ნიგნ-ალბომის პრეზენტაცია



კულტურისა და სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში საქართველოს დამსახურებული არქიტექტორისა და საზოგადო



საიუბილეო ნიგნ-ალბომის - „გიგა ბათიაშვილი - მომავლის პროექტები და ხედვა“ - პრეზენტაცია გაიმართა. ლონისძიებს ესწრებოდა კულტურისა და სპორტის მინისტრი თინათინ ჩხაპია, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი ყარამან ქუთათელაძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე დავით აბულაძე, სამხატვრო აკადემიის პედაგოგები, სტუდენტები და არქიტექტორის კოლეგები. ალბომი გვაცნობს ოჯახის ხელთ არსებულ, გიგა ბათიაშვილის შემოქმედების საინტერესო და თითქმის უცნობ, როგორც თავად ავტორი უწოდებდა, „არქიტექტურულ ესეებს“ (მომავლის პროექტები და ხედვა), უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც მშობლიურ თბილისთან მისი ურთიერთობის ნაყოფია.

მოღვაწის, თბილისის საპატიო მოქალაქის, საერთაშორისო აკადემიების ნამდვილი და საპატიო წევრის, გიორგი (გიგა) ბათიაშვილის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად (დაბადებიდან 90 წელი) ორგანიზაცია „აი სტუდიოს“ ავტორობითა და კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ გამოცემული ორენოვანი



### მუსიკალური საღამო „იშხნელები - 100“



საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დები იშხნელების შემოქმედების 100 წლისადმი მიძღვნილი საღამო - სახელწოდებით „და ის ვინც გაქვბდა“ - გაიმართა. ლონისძიებს კულტურისა და სპორტის მინისტრი თინათინ ჩხაპია და სხვა მინიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ასევე, მონიწვეული სტუმრის სტატუსით ლონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს

მუსიკოსმა დავით თავაძემ და ფოლკლორისტიმა ეთერ თათარაიძემ. საიუბილეო საღამოზე წარმოადგინეს ქალაქური ფოლკლორის პოპულარული ნიმუშები დები იშხნელების რეპერტუარიდან. სცენაზე წარდგინეს დები იშხნელების შთამომავალი მანანა მენაბდე საავტორო მუსიკით და გორის ქალთა კამერული გუნდი თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით. საღამოს უძღვებოდა ნიკა ნულუკიძე.



„არქიტექტურული ესეები“ კონკრეტული უზნებისა და ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიის მომავალი განვითარების ხედვით გამოდგინებული არქიტექტურული ჩანახატები და საპროექტო იდეებია, რომელთაც ახლავს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ავტორისავე განმარტებები, აღწერა, თვალსაზრისი.

ქორეოგრაფია უკვდავყოფა


მედი სინაინიკა - თბილისის საპატრიოტო მოქალაქე




რობდენ, მემორიალური დაფები გაიხსნა. დამსახურებული ქორეოგრაფების მამა-შვილი ამბალიების ამ ფორმით უკვდავყოფის იდეა ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის დამფუძნებელს, მრავალი კეთილი საქმის შემოქმედსა და



24 ნოემბერს ქ. ფოთის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფაზისის“ 50 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა. ღონისძიების წინ, ქართულმა ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ საკუთარი ოჯახის სახელოვანი წევრები, ანსამბლ „ფაზისის“ ხელმძღვანელები, მამა-შვილი ახმედ და კობა ამბალიები გაიხსენა, ქალაქ ფოთში, სამეგრელოს ქუჩაზე მდებარე სახლზე, სადაც დამსახურებული ქორეოგრაფი,



ღირსების ორდენის კავალერი, ქართული ქორეოგრაფიის რაინდი ახმედ ამბალია და მისი ვაჟი, ქართული ქორეოგრაფიის სახალხო მოღვაწე, „ბრწყინვალეების“ ორდენის კავალერი კობა ამბალია ცხოვ-



ავტორს ზაზა მუჟაფანაძეს ეკუთვნის, რომლის ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს მასშტაბით, რამდენიმე ათეული მემორიალური დაფა გახსნილი. არაფერს ვამბობთ იმ სხვა საქმეებზე, რასაც ეროვნული ცენტრი ამ დარგში მოღვაწე დამსახურებული ადამიანების პატივგებისთვის აკეთებს. მემორიალური დაფების გახსნის საზეიმო ცერემონიაზე შეკრებილმა საზოგადოებამ, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის წევრებმა, კოლეგებმა, მეგობრებმა და აღზრდილებმა ახმედ და კობა ამბალიების საინტერესო, ცხოვრებისეული მომენტები გაიხსენეს, მათ მიერ ღირსეულად განვლილ გზასა და შემოქმედებით წარმატებაზე ისაუბრეს.

სიცოცხლე კი გრძელდება, მამისა და ბაბუის დაწყებულ საქმეს, ღირსეულად უძღვება მათი მემკვიდრე საბა ამბალია, რომელმაც ამ დღის მასპინძლობა საკუთარ თავზე აიღო. მან, ტრადიციულად, წარმატებით უმასპინძლა უამრავ სტუმარს ოჯახსა და სცენაზე, სადაც ანსამბლ „ფაზისის“ 50 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა.

ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის წარდგინებით და რეკომენდაციით, თბილისის საპატრიოტო მოქალაქის ნოდება მიენიჭა გამორჩენილ მოცეკვავეს, ქორეოგრაფს, მსახიობს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს, მწერალს, სპორტსმენს, საზოგადო მოღვაწეს, ბატონ გივი სინაინიკის!

ვულოცავთ და დღეგრძელობას, ბედნიერებას ვუსურვებთ ბატონ გივის!



ამა წლის 18 ოქტომბერს, სერგო ზაქარაიძის სახელობის ტრადიციულ და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯში გაიმართა


ფასელები, სტუდენტები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები. ფოტოგამოფენა ნათლად ასახავდა ლეგენდარული



„სუბიმილიების“ ლეგენდარული ანსამბლის ოქროს თაობის ბრწყინვალე მოცეკვავე-სოლისტის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, ღირსების ორდენის



ანსამბლ „რუსთავს“ პანსკვდავი ბაუხსნა



ცაბიძე, ქალაქ რუსთავის მერიისა და საკრებულოს წევრები, პარლამენტარი ირაკლი შატაკიძე, ანსამბლ „რუსთავის“ შემოქმედების თაყვანისმცემლები, რიგითი რუსთაველები და ბატონ ანზორ ერქომაიშვილის მეუღლე, ქალბატონი ლალი სეთურიძე, საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი.

ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაცია ვარსკვლავის გახსნას ულოცავს ანსამბლ „რუსთავის“ ძველი და ახალი თაობების წარმომადგენლებს. ამასთანავე, მადლობას ვუხდით ქალაქ რუსთავის მერს, ქალბატონ ნინო ლაცაბიძეს, რომელიც ასე დიდებულად ზრუნავს ქართული ფოლკლორის, ქართული საცეკვაო ხელოვნების განვითარება-პოპულარიზაციაზე.

2024 წლის 21 ოქტომბერს ქალაქ რუსთავში საზეიმოდ გაიხსნა გამორჩენილი ქართველი მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სკვერი. იმავე დღეს სკვერში ვარსკვლავი გაუხსნეს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავს“ (სამხატვრო ხელმძღვანელი დავით შანიძე).

ვარსკვლავის გახსნას ესწრებოდნენ: ანსამბლ „რუსთავის“ წევრები, ქალაქ რუსთავის მერი, ქალბატონი ნინო ლა-

კავალერის, ბატონ თენგიზ უთმელიძის რიგით 45-ე პერსონალური ფოტოგამოფენა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ცნობილი ხელოვნები, ბატონი თენგიზის ნიჭის დამ-

ანსამბლის სახელოვანი საგასტროლო მოგზაურობებისა თუ ჩვენი ქვეყნის შიგნით ჩატარებული კონცერტების ისტორიას. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ და ბატონი თენგიზის შემოქმედებაზე ისაუბრეს „სუბიმილიების“ ანსამბლის ოქროს თაობის ბრწყინვალე მოცეკვავე-სოლისტმა, საქართველოს სახალხო არტისტმა მანანა აბაშაძემ, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა რეზო ჭანიშვილმა, ს. ზაქარაიძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის დირექტორმა მზია აფრიდონიძემ და სხვა გამომსვლელებმა. ფოტოგამოფენა გააშუქა საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამ“. ღონისძიებამ ლამაზ და მაღალშემოქმედებით ატმოსფეროში ჩაიარა.



# „სამაია სამაია“ (ისტორიული მიმოხილვა)

„...ნუ გეცოტავებით, მსოფლიოს აოცებს როკით განფენილი ქართული გენია“.

საინტერესოა, რის საფუძველზე წარმოიშვა ქართული ცეკვა, გენია როკით განფენილი, როგორც მას გრიგოლ რობაქიძე უწოდებს? ერთი რამ ცხადია, ცეკვაში ნატიფი ილეთებით ჩანერილია ქართული ყოფიერება, მითი და სინამდვილე, ქართული სულიერი სამყარო.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. მისი განვითარების პროცესში აღმოცენდა თეატრალიზებული ქართული ცეკვა და საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ-საბალეტო ხელოვნებას.

მოგვსახელებათ, საქართველო ტრადიციების მიმდევარი ქვეყანაა, რაც აისახება სხვადასხვა რიტუალის შესრულებაში. მაგ.: ნადირობის, ასტრალური სხეულების, ავადმყოფობის, მიცვალებულის კულტებისა და ბავშვის დაბადებისადმი მიძღვნილ ცეკვებში.

ბავშვის, განსაკუთრებით ვაჟის, დაბადება ქართულ ოჯახში აღინიშნებოდა საცეკვაო წეს-ჩვეულებით. სწორედ „ძეობის“ თანხლები ცეკვა იყო „სამაია“. „ძეობის“ წესს და საცეკვაო რიტუალს დანერგვით აღწერს ვახტანგ ბატონიშვილი: „ბავშვის გაჩენამდე რამდენიმე საათით ადრე მელოგინის ოთახში უკვე იხსნდნენ ქალები. შედიოდა ქმარი და ისრებს ისროდა ოთახის ყველა კუთხეში. მღვდელი სახარებას კითხულობდა, ახალშობილის პირველ დაკვირვებაზე მახარობელი მიდიოდა ნათესავებთან სასიხარულო ამბის სათქმელად. მესამე დღეს დედას აწვევდნენ ფარჩაგადაფარებულ ტახტზე. მისალოცად მიდიოდნენ ჯერ ქალები, მერე კაცები. ვახშამი სხვადასხვა სახლში იმართებოდა. იყო მუსიკა და ცეკვა, შემდეგ ხელისხელგადახვეული ქალები და კაცები „ფერხულის“

მონაცემების არსებობაზე მიგვითითებს, და თანაც, ქართველური წარმართული პანთეონის შესავსებად ძვირფას ცნობას ვიძენთ. საქართველოს მინა-წყალზე, დიონისური კულტის არსებობის ვითარებაში, „სამაია“ ამ საფეხურზე, დიონისურ ტრიეტერიკას უკავშირდება და მას შეერწყმის. „სამაია“ ქართული მითუმოქმედების ნიადაგზეა აღმოცენებული. წარმართობის ხანაში, იქ,



სადაც „სამაიას“ საფერხულო მისტიკები იმართებოდა, ქრისტიანობის გავრცელებისას, ეკლესიები აღიმართა, მაგრამ „სამაიას“ ჩაბმა მაინც არ მოშლილა, რის მიზნითაც იც მთელ საქართველოს ბარისა და მთიანეთის სიძლერებასა და ანდაზებშიც კი არის გაცხადებული: „სამაია სამთავანა“.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის აღწერით (1861) დამონებულია საგალობლის საწყისი ტაეპი, „სამაიას“ „სამთავანა“-ობა („სამაია სამთავანა, რა ტურფა რამ ხარო“). იგივე დადასტურებულია ალ. გარსევანიშვილის მიერ ჩანერილი საგალობლის ნამსხვრევებით, რაც პირველად ვახტანგ კოტეტიშვილმა გამოაქვეყნა (1934). მან საფუძველი დაუდო „სამაიას“ შედარებით ისტორიულ კვლევას და ამ საფერხულო კმნილების სამწყობრო აღნაგობის ნათესაყოფად საყურადღებო ცნობა მოიპოვა: ფშავში,

„სამაიას“ ფერხულის ჩაბმა ხატობაში (ქორნილშიც) იცოდნენ. სამკუთხედად დადგებოდნენ, ერთი ამბობდა ტექსტს და ჰანგს, ორი კი ბანს ეუბნებოდა. ამასთანავე, ვახტანგ კოტეტიშვილისათვის უკვე ცნობილი იყო „სამაიას“ საგალობლის ისეთი ტექსტი, სადაც პირველსავე ტაეპში „სამთავანა“-ობის მაუწყებლობა გავრცობილია ამის საპირისპირო აკრძალულობით: „სამაია სამთავანა არ იქნება ორგანა“, შალვა ასლანიშვილის ჩანაწერით: „არ იქნება ორთავანა“. (დ. ჯანელიძის წერილები „სამაიაზე“ გვ. 125)

ქართულ ანბანში მესამე ასოა „გ“ და მისი სახელია „გან“. ძველ ქართულ სათვალავში „გ“ აღნიშნავს სამს (3). არა მარტო სიტყვა სამაია, არამედ მისი დახასიათებაც - სამთავანა ძირითადად დაკავშირებულია რიცხვითი სახელიდან „სამი“.

„გან“ ნაწილად „სამაიას“ პოეტურ წარმოსახვაში მიმართავს დავით გურამიშვილი: „დავით ისამა, მან განისამა... როკვა სამებით“. „სამთავანასთან“ შედარებით ნაწილად „გან“ იცვლის თავის ადგილს და მიმდევრობას. ბოლოსათვის იქცევა თავსართად. გურამიშვილთან „სამაია“ გახვეულია ქრისტიანული ტრიეტის მოძღვრების საბურველში, მაგრამ მაინც ხაზგასმით არის წარმონიშნული ამ საფერხულო კმნილების წარმომავლობა რიცხვითი სახელიდან „სამი“.

გურამიშვილმა, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, კარგად იცოდა „სამაიას“ „რა აქენდა მას განი, ზომით შინაგანი“. „სამაიას“ უკიდვანოდ გაგება, დროსა და სივრცის გარეშე, დიახაც, არ იაზრება, აკი პოეტ არჩილს უთქვამს: „უდროოდ და უადგილოდ ნურც იმდერი, ნურც ისამებ“, არჩილთან და გურამიშვილთან „სამაია“, „სამა“ წარმოდგე-

ნილია არამარტო სახელი არსებობის სახით, არამედ ზმნის სახითაც („ისამებ“, „ისამა“) და მიმღობის სახითაც („მოსამე“), რაც მის ქართველურ წარმომავლობაზე და შორეულ დროთაგან მომდინარეობაზე მეტყველებს. (დ. ჯანელიძის წერილები „სამაიაზე“ გვ. 127).

ქართველი ისტორიკოსის-ჟამთააღმწერლის თხზულებაში მოხსენიებულია მე-13 საუკუნის ისტორიული პირი „ერის თავი სამადავლი“, რაც ყურადღებას იქცევს სახელის შემადგენელი ორთავე ნაწილად. პირველი - „სამა“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც „სამაიას“ სინონიმი. „სამა“ ასეთი მნიშვნელობით, ხშირად გვხვდება ქართულ წყაროებსა, გადმოცემებსა და აღწერილობებში (ს. სორბელიანი, თეიმურაზ მე-2, ნ. მარი, ჯ. ნოღაიდელი). ხოლო „სამადავლის“ მეორე ნაწილი „დავლი“ იგივე უნდა იყოს, რაც „დავლა“, „დავლური“. „სამაიას“ სასიმღერო ლექსებსა და აღწერილობაში გვხვდება გამოთქმები, რომელთაც თავის შემადგენლობაში აქვთ ამავე ფუნქციური ნაწარმოები სიტყვები: „დაუვლიდი“, „ჩამოუვლის“, „უვლიდენ“, „შემოუვლის“. როკვისა და მისი ქმედობის დამახასიათებელი ნაწილად იხსენიება ადამიანის სახელის შედგენა არ უნდა გვეჩვენოს გაუგონარ, უცნაურ და შეუძლებელ მოვლენად, მით უფრო, რომ ალ. ლლონის ანთროპომიმთა ლექსიკონით „სამაია“ მამაკაცის სახელიც ყოფილა და ქალისაც. ეს იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ „სამაიას“ გააჩნდა თვითმყოფობის ნიჟიერი და მნიშვნელოვანი მითოლოგიური ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენებულია მამაკაცთა და ქალთა საკუთარი სახელები: („სამაია“, „სამადავლი“) რაც დიდებულია ნრეშიაც იყო გავრცელებული. სახელი „სამადავლი“ იმის მთქმელიც არის, რომ „სამაიას“ აუცილებელ ნაწილს შეადგენდა დავლური („დაუვლიდი“).

ქრისტიანულ სამყაროში ციფრს 3 განიხილავენ, როგორც მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა. ჭეშმარიტად ერთი-სამპიროვანი ღმერთი ანუ წმინდა სამეფა. წმინდა სამების ღრმა რწმენით და დიდი პატივისცემით ცხოვრობდა და ქვეყანას მართავდა წმინდანად შერაცხული ქალი მეფე - თამარი, რომელიც გამეფდა 1179 წელს. იგი ქვეყანას 5 წლის განმავლობაში მამაკაცთან, გიორგი მე-3-სთან ერთად მართავდა. 1184 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, თამარი პირველი და ერთადერთი ქალი მეფე გახდა. მისი მეფობის პერიოდი ისტორიაში შესულია, როგორც „ოქროს ხანა“. ის იყო ყველაფრით ყველასგან გამორჩეული მეფე, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და ეკლესია-მონასტრების აღმშენებელი (მაგ. ვარძია).

ვარძიაში მოხატული ფრესკა გახდა სასცენო კოსტიუმის და ცეკვა „სამაიას“ დღევანდელი შესრულების საფუძველი. „სამაიას“ ულამაზესი ესკიზები სვეტიცხოვლის ტაძრის ფრესკიდან „კოსტიუმის მეტემა“ მეფური სიდიადით დახატა, ხოლო ცეკვის შინაარსი თამარ მეფის სამხატვროებაზეა აგებული. ცეკვა ფრესკული სტატიკით იწყება და, ამიტომაცაა, რომ ამ კოსტიუმებში, რომელშიც იკითხება სამეფო სამოსის ბიზანტიური გავლენა, სიმბოლიკად შემოსულია ფრესკის ფერები: მოიისფრო კაბა ალბუღია თამარის ვარძიის ფრესკიდან, ღია ცისფერი ბუთანიისა და ყინწისის მოხატულობიდან, სპილენძისფერი კი დავით გარეჯში ბეროუბნის ხატწერიდან. ასეთი გააზრებით, კოსტიუმების დიზაინი ქსოვილის ფაქტურაზე არაჩვეულებრივად ეფექტურია, - ნაცრისფერი გრადაციით გადადის მუქ იისფერთან, ცისფერთან და სპილენძისფერთან. ასეთ სამეფრიან გამასთან უცვლელად რჩება კაბის სილუეტურობა, ისტორიაში გამოვლილი დახვეწილი სტილი და ძვირფასი ქვების მისტიკური ფილოსოფია. ისიც სიმბოლიკაა, რომ სამეფო სამოსის გულისპირშია „ჩალაგებული“ თეთრი მარგალიტები ისევე, როგორც დიდი ძვირფასი თვლები, - ზურმუხტები, ლაღები, საფირონები - არქაული მოზაიკის მგავსად... ასეთ პარამონიას რომ ეხები, გგონია, ალბათ, არც ერთ ესკიზში არ არის ჩადებული ასეთი ასკეტიზმი და მონუმენტურობა, მეფური ზომიერება, ქალური სინაზე, მეფური სიმშვიდე თუ სიღარბისლე...

ამ კოსტიუმებს ცეკვაში შემოაქვს თავისი რიტმი, ქორეოგრაფიული ნახაზის სტატიკურობა, - „მე ბედნიერი ვარ, როდესაც ჩემი მხატვრობის საშუალებით, მაყურე-

ბელი გრძნობს, თუ როგორ ხდება მუსიკა ხილული, როგორ იმოსება ცეკვა...“ - წერდა სოლიკო ვირსალაძე. „სამაიას“ გვირგვინი? - ესეც სამეფო გვირგვინის ანალოგია, რომელიც მხატვარმა სამეფოეზო ექსპონატად აქცია... „სამაიას“ საოცრად ლამაზ, სილუეტურ კაბებს, რომლებიც ცალკე შედევრებია, ბიზანტიური სამეფო სამოსისგან მიჰყვება მთავარი აქსესუარი - ლორი, რომელიც კაბის უცვლელი ნაწილია და მოცეკვავეებს ხელზე აქვთ ხოლმე გადაფენილი... „ქალებს ემოსათ გრძელი დამგებული, კაბები, რომლებიც ბრწყინავდა, მაყურებელს კი ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, რომ ისინი იყვნენ მისტიკური...“ (New-York Times-ის რეცენზიიდან).

დღევანდელი „სამაია“ სამეფოვანი კოსტიუმით სრულდება, რომელიც გამოხატავს თამარის ბავშვობას, ყმაწვილქალობას და მეფობას. მის მიერ წარმოდგენილმა კაბის სილუეტმა ცეკვის სხვაგვარი ნახაზი, მოძრაობა და პლასტიკა მოითხოვა. ამიტომ, კოსტიუმის გავლენით მოხდა ცეკვის ნახაზის შეცვლა. მას ფრესკული გამოსახულებებისთვის დამახასიათებელი პლასტიკის, მოძრაობის ელფერი მიეცა. „მზე შინა და მზე გარეთა“-ზე შესრულების ზოგადი შემთხვევაში, წარმოდგენილია პირფერის წერა და ჩვილის დარწევა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ „სამაიას“ ძველი შესრულების დეტალები დღევანდლობაშიც იჩენენ თავს. ადრე თუ „სამაიას“ მხოლოდ ქალები ან ქალ-ვაჟნი ასრულებდნენ, დღესდღეობით მხოლოდ 3 ქალი ცეკვავს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც „სამაიას“ 9 ან 12 შემსრულებელი ჰყავს. თუმცა განლაგება არის 3-3 (3x3, 3x4). ამის ნათელი მაგალითია ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, რომელშიც 9 მოცეკვავე მონაწილეობს.

1943 წელს კი ჯანო ბაგრატიონმა იგივე ცეკვა სამი ქალის შესრულებით დადგა. ქალთა სამეულის სახით განახორციელა „სამაია“ ქალბატონმა ნინო რამიშვილმა 1945 წელს.

ქალთა ხალხური ცეკვების შესახებ მრავალი ლიტერატურული მასალა მოიძებნება,



სადაც აღერილია, როგორც ქართველ მკვლევართა, აგრეთვე, უცხოელ მოგზაურთა შთაბეჭდილებანი. ისინი ხოტბას ასხამდნენ ქართველ ქალებს. წმინდანად შერაცხულ მეფეს სივრცლმევე უკვდავი პოემა მიუძღვნა დიდმა შოთა რუსთაველმა.

ბუთანიში მოხატულ თამარის ფრესკას ლექსი მიუძღვნა რომანტიკოსმა გრიგოლ ორბელიანმა. ვარძიის ფრესკა კი გახდა ულამაზესი საწყისი ულამაზესი ცეკვისა.

ჩემს მიერ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ „სამაიას“ ძველი და ახალი შესრულების ვარიანტი, სრულიად განსხვავებულია, როგორც ქორეოგრაფიით ასევე შინაარსობრივად.

**სალომე ცინდელიანი**  
**საქართველოს შოთა რუსთაველის**  
**თეატრისა და კინოს**  
**სახელმწიფო უნივერსიტეტის**  
**თეატრმცოდნეობის მიმართულების**  
**დოქტორანტურის III კურსის**  
**სტუდენტი**

# ქალაქური სეკვების ასახვა ქართულ ხელოვნებაში

რა არის ხელოვნება? რა გავლენას ახდენს იგი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მის შემოქმედებაზე? ამ კითხვებზე პასუხი ალბათ ჩვენს თვალწინ შექმნილი შედეგებიდან უნდა გავიგოთ, როგორ აღმოჩნდა ყოფაში არსებული მოვლენები ხელოვნების ნიმუშებში.



ხელოვნება, ეს არის რეალობის მხატვრული ანარეკლი. ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, ეს იქნება ბუნებრივი თუ არაბუნებრივი მოვლენა, ყოველი მათგანი ზემოქმედებას ახდენს ადამიანის გონებაზე. იგი ღრმად ილექება მასში და გამოძახებს სხვადასხვა ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

გარშემო მომხდარ ფაქტებს, ყველაზე მწვავედ ხელოვნება გრძნობს. ამის შემდგომ ყოველი დარგის წარმომადგენელი, ცდილობს თავისი გამომსახველობითი საშუალებით გადმოსცეს საკუთარი დამოკიდებულება: ფერწერა – ფერით, მუსიკა – ბგერით, ლიტერატურა – სიტყვით, ქორეოგრაფია – მოძრაობით. აქედან გამომდინარე, ხელოვნება წინ უსწრებს დროს. როგორც ვახსენეთ, სწორედ რომ ყოფიდან იბადება ის ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მნახველზე. როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც მრავლადაა ამგვარი მაგალითები. საინტერესო იქნება თუ ყურადღებას გავამახვილებთ და შევეხებით მეცხრამეტე საუკუნის თბილისს, „ტიფლისს“. სწორედ თბილისის ყოფა-ცხოვრების წესმა ჰპოვა რეზონანსული გამოძახილი ხელოვნებაში.

„თუ მამადავითის მთაზე ახვალთ და გადახედავთ ტიფლისს, ნარიყალას ციხის გასწვრივ თქვენი მხედველობის წინაშე გადაიშლება ჩვენი დედაქალაქის ის ნაწილი, რომელსაც ტიფლისი ეწოდება. ქალაქის მოსახლეობა მუდამ ჭრელი და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ იგი ყოველთვის თავისი ენით მეტყველებდა“, – ასე ახასიათებს იოსებ გრიშაშვილი მეცხრამეტე საუკუნის თბილისს. იქ, სადაც მოსახლეობა ჭრელი და მრავალფეროვანი იყო, რა გასაკვირი იქნებოდა, რომ ამ სოციალურ ქალაქურ ფოლკლორში

და ფოლკლორული ცეკვები წარმოშობილიყო, ჩამოყალიბებულიყო. ქალაქურ ფოლკლორს წარმოადგენს ძველი თბილისის ცეკვა - კინტოს და ყარაჩოღელის ცეკვა. ისინი მკაფიოდ ასახავენ ქალაქის ცხოვრებას. „ალექსი ალექსიდის აზრით, „კინტო“ „კენტიდან“ (მარტოხელა ობოლი) წარმოდგება, ყარაჩოღელი – ყარაჩოხელისაგან (შავჩოხიანი). ყარაჩოხელები ერეკლე მეორეს ასპინძის ბრძოლაში ხლებიან. თავისებური, გამორჩეული ჩაცმულობის გამო, თურქებს მათთვის ყარაჩოხელები, შავჩოხიანები შეურქმევიათ. კინტოები და ყარაჩოღელები იმ ყოფისა და ყოველდღიურობის ნეკრი იყვნენ, რაც იმ დროს, თბილისის ქუჩებში ხდებოდა. როგორც წესი, კინტოები ვაჭრები იყვნენ, ისინი დუქნებსაც სწყალობდნენ, გართობას და ლაღობას დიდ დროს უთმობდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, მაშინდელ ქალაქში თვალში საცემი იყო ორივე მათგანის ცხოვრების წესი. აქედან გამომდინარე, რა გასაკვირი იქნება, რომ კინტო-ყარაჩოღელების პროტოტიპები ხელოვნებას გამოჰპარვოდნენ და არ აესახათ თავიანთ ნაშრომებში.

მათ თითქმის ხელოვნების ყველა დარგი მოიცავს. კინო, მხატვრობა, ქორეოგრაფია, მათ ირგვლივ ტრიალებდა და შემოგვინახა კინტო-ყარაჩოღელების შესანიშნავი, ფასდაუდებელი ნიმუშები.

როგორც ცნობილია, არსებობს მოსახზობა, რომ კინტო „უკანასკნელი დროის მცხოვრები, გაქსუებული, დაღლარა, თახსირი, ერთი სიტყვით ყარაჩოღელების გადაგვარებული მოდგმაა.“ საქციელიდან გამომდინარე, მათი შესრულებული ცეკვაც საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო. კინტოების მოძრაობის პლასტიკითა და ილეთებით ნაკლებად იხილებოდნენ. საფუძვლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართული ქორეოგრაფია დიდი ხნის მანძილზე გაურბოდა ამ ცეკვას. თუმცა დღევანდელი სასცენო ვარიანტი, რადიკალურად განსხვავდება პირვანდელისაგან. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მსახიობ გიორგი შავგულიძეს. მან 1948 წელს გადაღებულ მხატვრულ ფილმში, „ქეთო და კოტე“ შეასრულა ნიკოს როლი. სწორედ აქ ცეკვავს შავგულიძე კინტოურს. მისი შესრულება ნამდვილად მაღალმხატვრული



ლი ღირებულებისა – მანერა, დარბაისი-ლური თავმეკაება, ილეთ-მოძრაობანი, ნამდვილად ალაფროვანებს მაყურებლებს.

გარდა „ქეთო და კოტესი“, აღსანიშნავია მხ.ფილმი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (რეჟ. მიხეილ ჭიაურელი). აქაც საუცხოოდ ასრულებს გიჟუას როლს აკაკი ხორავა. იგი საოცარი გამჭრიახობით, გულისხმიერებით, სიღინჯითა და პატივისცემით გამოირჩეოდა გარშემომყოფებისგან. აქედან გამომდინარე, ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, როგორ შეეცადნენ რეჟისორები ამ ფენის დადებითი მხარით წარმოჩენას. აქ ვერ ნახავთ ვერცერთ უხერხულ თუ მიუღებელ მოძრაობას, მანერას, ან უარყოფით დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისაგან.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ კინტოურის კოდექსი ერთი უბადლო შემსრულებელი, რომელმაც ამ ცეკვას ღირსება შესძინა, ეს არის ფრიდონ სულაბერიძე. ბატონი ფრიდონი ყოველდღიურად ხვეწდა საკუთარ თავს, საათობით უყურებდა თავის დგომს, მანერას. ამ ყოველივემ თავისი შედეგი გამოიღო, ქართულ ქორეოგრაფიას შეემატა კიდეც ერთი ღირებული ცეკვა „კინტოური“.

თავდაპირველად „კინტოური“ იცეკვებოდა ცალად. ამის ნათელი მაგალითია სოფიკო ჭიაურელის მიერ შესრულებული ცეკვა, მიუხედავად იმისა, რომ ქალია და მამაკაცის მოძრაობებს ასრულებს, თავის მხრივ ირგებს თავის როლს და მაღალმხატვრული ღირებულებით გადმოსცემს მას.

იშვიათ შემთხვევაში ვხვდებით წყვილურ ცეკვას. ამას უკვე შეჯიბრის ხასიათი ეძლეოდა. დღეს კი სასცენო დამუშავებაში ვხვდებით მასობრივ გადაწყვეტებს, „სურათებს“, რომელიც მაყურებელზე ემოციურ გავლენას ახდენს. ეს გროტესკულყოფითი ხასიათის ცეკვები, მეტად ორიგინალური ინტერპრეტაციით „ძველი თბილისის სურათები“ დადგა ცნობილმა ქორეოგრაფმა ჯანო ბაგრატიონმა. მისი დადგმის შემდგომ სახელმწიფო ანსამბლებში უკვე ჩნდება ცეკვა კინტოურის სხვადასხვა ვარიანტები. ჯანოსეული სურათების განლაგება სხვადასხვა კუთხით გვხვდება დღევანდელი სახელმწიფო ანსამბლების რეპერტუარებში. თითოეული მათგანი სწორად წარმოაჩენს კინტოს სახეს, ხასიათს, მანერას. რასაკვირველია ილეთ – მოძრაობები დაიხვენა და განსხვავებული მხატვრული დანიშნულება შეიძინა.

კინტო-ყარაჩოღელის პროტოტიპი ყურადღების მიღმა არ დარჩენიან ქართველ მხატვრებსაც. როგორც წესი, მხატვრობა უპირველესად გრძნობს არსებულ რეალობას. შემდგომ მას ან აპროტესტებს თავისი ნამუშევრით, ან მხარს უჭერს. ქართველი მხატვრებიდან აღსანიშნავია ლადო გუდიაშვილისა და ნიკო ფიროსმანის ნამუშევრები. ორივე მათგანი ქართული მხატვრობის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა, საოცარი ტექნიკითა და განსხვავებული შესრულების მანერით წარმოდგენილი.

გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ ნიკალა დუქნების ხშირი სტუმარი იყო, აქედან გამომდინარე, თვითნასწავლ მხატვარს ხშირად მოუწევდა კინტოებთან შეხვედრა. მას უამრავი ნამუშევარი აქვს კინტოების თემაზე. მისი კომპოზიციები ძირითადად გამოსახულია მინდორში, სადაც მოქიფე კინტოები სხედან და ლაღობენ. ზოგი მათგანი არღანს უკრავს, ზოგი საღლეგრძელს თქმის პროცესშია, ზოგს კიდეც

ლანგრით მიაქვს მაგიდასთან ღვინო და პური. მხატვრის ნამუშევრებიდან ვიგებთ თუ რომელ საკრავზე უკრავდნენ, როგორი სამოსი ეცვათ, ცხოვრების როგორი წეს-ჩვეულება გააჩნდათ. ჩვეულებისამებრ ფიროსმანი საოცარი მინიმალიზმით გამოირჩევა, ეს არის მინიმალიზმით გამოცემული მაქსიმალიზმი. ამიტომაცაა იგი გენიალური მხატვარი.

რაც შეეხება ლადო გუდიაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ თემატურად ერთი და იგივე სურათებია, შესრულების მანერა რადიკალურად განსხვავებულია ფიროსმანისგან. გუდიაშვილი გახლავთ ქართველი მოდერნისტი მხატვარი, რაც საშუალებას იძლევა კიდეც უფრო სხვა რაკურსით დავინახოთ კინტოთა ცხოვრება.



ვხვდებით. აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი შავგულიძისათვის, სწორედ გუდიაშვილის ნამუშევრები გახდა ინსპირაციის წყარო. თუ კარგად დავაკვირდებით მსახიობს, ნათლად დავინახავთ მსგავსებას ლადოს კინტოებთან. მისი ნამუშევარი ფორმით მეტად განულილია, გრაციოზულია, სწორედ ეს ბადავს მნახველში დიდ გაოცებას და აღტაცებას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სოციალური ფენა, რომელიც დაბალ საფეხურს წარმოადგენდა, მუდმივი განსჯისა და ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. მიუხედავად მათი მართ სკეპტიკური დამოკიდებულებისა, კინტო-ყარაჩოღელურმა ცეკვამ თავისი ადგილი დაიკავა როგორც ქართულ ქორეოგრაფიაში, ასევე სხვა სახელოვნებო დარგებში. დღემდე ცეკვა „კინტოური“, გარდა სახელმწიფო ანსამბლებისა, სრულდება ბავშვთა და თვითმოქმედ ანსამბლებში, დღემდე აგრძელებს არსებობას და მნახველშიც დიდ ემოციურ განწყობას ბადებს.

საქართველოს შოთა რუსთაველის  
თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული  
მიმართულების მე-3 კურსის სტუდენტი

სალომე ნოზაძე

დასაწყისი გვ. 3

და დასავლური დიალექტური დიდი წრეები. ლიხის ქედით გამიჯვრული აღმოსავლეთის და დასავლეთის განსხვავებები აისახა ენაშიც, წესშიც, ტრადიციებშიც, მრავალხმიანობის ტიპებშიც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ის, რაც აქ მუსიკალური ფოლკლორის მიმართ ითქვა, სავსებით და მთლიანად შეიძლება გავრცელდეს ქორეოგრაფიული ფოლკლორის მიმართაც. ჩვენ ვთვლით, რომ ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში შეიძლება გამოიყოს: ხევსურული, ფშაური, მოხეური, მთიულური, ქართლური, კახური, მესხური, რაჭული, ლეჩხუმური, სვანური, იმერული, გურული, აჭარული, მეგრული, ლაზური დიალექტები (ასევე ქალაქური ფოლკლორი). მათ შიგნით, აგრეთვე, შესაძლებელია მთისა და ბარის დიალექტების ფიქსირება. მათი შედარება კი აჩვენებს, რომ ბარის ქორეოგრაფიული დიალექტი უფრო განვითარებულია, ხოლო მთა, თავისი ბუნებრივი კარჩაკეტილობის გამო, შედარებით მეტ სტაბილურობასა და პირველსახეს ინარჩუნებს. ეს ფაქტი კარგად აქვთ შენიშნული ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების მკვლევარებს (დ. ჯავრიშვილი, დ. ჯანელიძე, ლ. გვარამაძე, ავ. თათარაძე...). ამდენად

მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. მომავალში, ვინც ქორეოგრაფიკების საკითხით დაინტერესდება, განსაკუთრებული დაკვირვების საგნად უნდა იქცეს ის, რომ შეიძლება თუ არა უძველესი დიალექტების ფიქსირება სადღესო დონეზე? მაგალითად, მუსიკათმცოდნეები ხევსურულ მუსიკალურ დიალექტს გამოყოფენ როგორც არქაული მუსიკალური აზროვნების საუკეთესო ნიმუშს. დ. არაყიშვილის აზრით, იგი ზოგადად, მიხლოებით მაინც აჩვენებს იმას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ზოგადქართული მუსიკა უძველეს ნარსულში. აი, ამ ანალოგიითაც საძებარი ის უძველესი ქორეოგრაფიული დიალექტი, თუ მისი ცალკეული გამოვლინებანი, რომელიც სწორედ უძველეს ქორეონის თავისებურებებზე მიგვანიშნებდა.

მომდევნო საკითხი, რომელიც ასევე შესწავლას მოითხოვს, ისაა, შეიძლება თუ არა განვითარების სანყისი და აღმავალი ხაზის ფიქსირება დიალექტების განვითარებაში, მაგალითად, მუსიკათმცოდნეები აღმოსავლურ-ქართული დიალექტების საერთო მდინარეებში ასეთ აღმავალ ხაზს ხედავენ: თუშური - ფშაური - გუდამაყური - მოხეური - მთიულური - ქართლ-კახური.

ამგვარი თვალსაზრისით, ქართლ-კახური აღმოსავლურ-ქართული დიალექტების გვირგვინს წარმოადგენს. განცალკევებით დგას მესხური, რომელიც მიმეისტორიული პირობების გამო, გარკვეული თვალსაზრისით ერთგვარად დეგრადირებულია, განცალკევებულია თუშურიც, რადგან იგი სხვებზე ადრე უნდა ჩამოყალიბებულიყო დიალექტად და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არაქართველ მოსახლეობასთან ახლოობით თავისებურ სახეს იძენდა.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ ასეთი მდგომარეობა გვაქვს. აღმავალი ხაზი მოდის შემდეგი მიმართულებით: სვანური - ლეჩხუმური - აჭარულ-შავშური - რაჭული - იმერული - მეგრული - გურული.

ასეთია მუსიკალური დიალექტების განვითარების ხაზი. ბუნებრივად დგება საკითხი - იგივე ვითარება შეიძლება დავაფიქსიროთ თუ არა ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში?

ცხადია, დიალექტების ამგვარი ძიება თვითმიზანი არ არის. ეს არის ლოგიკური აუცილებლობა, რადგან ამგვარი ცოდნის გარეშე ჩვენ ვერასოდეს წარმოვიდგენთ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხე-

ლოვნების განვითარების მთლიან სურათს. რაკი ქორეოგრაფიული დიალექტი, საერთოდ ყოველგვარი დიალექტის მსგავსად, ერთი საერთო ფუძე-ენის (მათ შორისაა მუსიკალური ენა, ქორეოგრაფიული პანტომიმის ენა და ა.შ.) ქორეოგრაფიული დიფერენციაციის შედეგად მიღებული განსხვავებაა, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის შესახებ შემუშავებული ობიექტური თვალსაზრისი საბოლოო ჯამში ცოდნას სწორედ იმ საერთო შესახებ გვაძლევს, რის ნაწილსაც მოცემული რეგიონის ქორეოგრაფიული ხელოვნება წარმოადგენს.

ამრიგად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება, ფოლკლორის სხვა დარგების მსგავსად, მეტად მდიდარია თავისი ფორმით, შემადგენლობითა და შინაარსით. იგი მრავალი ქორეო-დიალექტისაგან შედგება. ყველა მათგანს ახასიათებს ბევრი საერთო და განმასხვავებელი ნიშანი, რომელთა გამოვლენა-გათვალისწინება აუცილებელია ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საერთო სურათის დასადგენად. ამდენად, აღნიშნული მიმართულებით კვლევის გაგრძელება ჩვენ პერსპექტიულად გვეჩვენება.

# ქართული ხალხური ხელოვნების განვითარების საერთო სურათი



2024 წლის 20 ოქტომბერს, ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა უმასპინძლა ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ, უკვე ტრადიციადქცეული ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის „მომავალი ჩვენია“ ფარგლებში ჩატარებულ მასშტაბურ ღონისძიებას „ქართული ცეკვის ზეიმი კახეთში“. ფესტივალში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოწვეული ანსამბლების გარდა, მონაწილეობდნენ სომხეთის დედაქალაქ ერევნიდან ჩამოსული შესანიშნავი ქორეოგრაფიული ჯგუფები. ღონისძიებას წინ უძღოდა მასშტაბური საზეიმო მსვლელობა, რის შემდეგაც მონაწილე ანსამბლებმა კულტურის სახლის სცენაზე გადაინაცვლეს. ფესტივალის გახსნას განსაკუთრებული ელფერი შესძინა მასპინძლების, ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „ბახტრიონის“ (ხელმძღვანელი-ბექა ბიძინაშვილი) მომღერლების მიერ შესანიშნავად შესრულებულმა „მრავალხამიერმა“. ღონისძიებას, ტრად-

იციულად, უძღვებოდნენ ზაზა ალექსიძე და მანანა უშიკიშვილი. ფესტივალმა საზეიმო, მაღალშემოქმედებით ატმოსფეროში ჩაიარა. ღონისძიების დასასრულს გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. დამსწრე საზოგადოებას და მონაწილე ანსამბლებს მისალმნენ ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა მჭავანაძე, ცენტრის საპატიო თავმჯდომარეები – სახალხო პოეტი ერეკლე საღლიანი და პროფესორი რეზო ჭანიშვილი. სცენაზე შეკრებილ ხელოვანებს და აუდიტორიას გულითადად მიესალმა და წარმატებები უსურვა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ბატონმა ზურაბ ფილაშვილმა. ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციის გადამწყვეტილებითა და რეკომენდაციით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სახელობის პრემიის ლაურეატის ნოდებით დაჯილდოვდნენ საპატიო ახმეტელები: პოეტი ელდარ ჭიჭიაშვილი, ახმეტის სახალხო თეატრის მსახიობი თემურ ქვაზაური, სათნოების სახლის დირექტორის მოადგილე მაია ჭინჭარაული და ჯვარპატიოსნის ტაძრის მედავითნე ნათელა შაშიაშვილი, მონაწილე ანსამბლები და მათი ხელმძღვანელები კი დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებითა და დიპლომებით. ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციის სახელით, ახმეტის მუნიციპალიტეტის მესვეურებსა და კულტურის ცენტრის მთელ შემადგენლობას მადლობა გადაუხადა გაზეთ „ქართული ფოლკლორის“ რედაქტორმა მანანა უშიკიშვილმა. განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი და მადლიერება გამოხატა მერის მოადგილის, ბატონი ზურაბ ფილაშვილის, კულტურის სახლის დირექტორის ბატონი ლევან მამსიკაშვილისა და მოადგილის, ქალბატონი ნანა ქიბრონაშვილის მიმართ, რომელთა დიდი მხარდაჭერის შედეგად შედგა კიდევ ერთი შესანიშნავი ღონისძიება. მათ სცენაზე გადაეცათ მადლობის სიგელები და არჩეულ იქნენ ეროვნული ცენტრის საპატიო წევრებად.



# ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი - 15

## ფოტოლორის საერთაშორისო ფესტივალი „მომავალი ჩვენია!“ - 20



ხელმძღვანელი;

– გოგი მარღანია – ქორეოგრაფი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ ყოფილი მოცეკვავე, ომარ მხეიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, რუსთავის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სიხარული 2“-ის ყოფილი ხელმძღვანელი, ქალაქ რუსთავის საპატიო მოქალაქე;

– ნოდარ აბულაძე – ანსამბლ „რუსთავის“ ძველი თაობის მოცეკვავე-სოლისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „რუსთაველის“ ხელმძღვანელი.

ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციისა და საპატიო მრჩეველთა საბჭოს გადამწყვეტილებით, ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ხელოვნების ბრწყინვალეების ორდენით დაჯილდოვდა თურქეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანი **ზურაბ ტარიელაძე**.

ცერემონიაზე საპატიო ჯილდოები



ლეგენდარული ანსამბლის ოქროს თაობის ბრწყინვალე მოცეკვავე-სოლისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ჟურნალისტი;

– რეზო ჭანიშვილი – საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ეროვნული ცენტრის საპატიო თავმჯდომე

ვანელი;

– ნუგზარ ჯიქური – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ცეკვის პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული არტისტი;

– ნუგზარ კაპანაძე – საქართველოს



მარე, პროფესორ-ემერიტუსი;

– ლადო კახაძე – ექიმი, „სუბიშვილების“ ოქროს თაობის მოცეკვავე-სოლისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი;

– ზაურ პაპიაშვილი – „სუბიშვილების“ ოქროს თაობის მოცეკვავე-სოლისტი, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მამულის“ დამფუძნებელი და მთავარი ქორეოგრაფი;

– ჯემალ რეზვაშვილი – ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღ

ვანელი, ღირსების ორდენის კავალერი, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ჩირაღდანის“ ხელმძღვანელი;

– თენგიზ სუხაშვილი – საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სიხარული“ ხელმძღვანელი;

– ბადრი მაჭავარიანი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლის სამხატვრო

გადასცეს: პროფესიონალ ქორეოგრაფთა კავშირის ხელმძღვანელმა, ღირსების ორდენის კავალერმა ანგული ქავთარაძემ და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ოპიზას“ ხელმძღვანელმა გელა წერეთელმა.

საიუბილეო საღამოსა და დაჯილდოების ცერემონიაზე უძღვებოდნენ ტელე-ჟურნალისტი და მასობრივ ღონისძიებათა ნამყვანი **ზაზა ალექსიძე** და გაზეთ „ქართული ფოლკლორის“ რედაქტორი **მანანა უშიკიშვილი**.

ღონისძიების მხარდამჭერები: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინ-

ისტრო, საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემია, პროფესიონალ ქორეოგრაფთა კავშირი, კულტურის ინსტიტუტი.

ღონისძიებას აშუქებდნენ ტელეკომპანია „ვარსკვლავები TV“ და ქორეოგრაფიული ვებ-გვერდი CHUBINA.GE (დამფუძნებელი ავთანდილ ჩუბინიძე).

ცერემონიალი დასრულდა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კრწანისის“ მოცეკვავე-სოლისტის **მარიამ ბერიძის** მიერ შესრულებული ცეკვა „ჯეირანი“.

ფოტორეპორტაჟის ავტორია – **გვანცა მესტირიშვილი**.



**ქართული ფოტოლორი**  
ISSN 2960-9364  
9 772960 936002  
მის: თბილისი, ცოტნე ლაღინის №26  
ტელ.: 593 79 49 30  
ქართული ფოტოლორი;  
E-mail: nccg2023@gmail.com

**სარედაქციო კოლეგია:**  
რეზო ბალანჩივაძე  
რეზო ჭანიშვილი,  
ურბნა დვალისკვილი,  
ზაზა მჭავანაძე,  
ერეკლე საღლიანი,  
ეთერ თათარაიძე,  
ამირან არაბული  
ეკატერინე გელიაშვილი

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

რედაქტორი:  
**მანანა უშიკიშვილი**  
გამომცემელი:  
ქართული ქორეოგრაფიის  
ეროვნული ცენტრი  
დაიბეჭდა:  
„პრინტ-ფაბრიკის“ სტამბაში